Diploma Programme
Programme du diplôme
Programa del Diploma

# Georgian A: literature – Higher level – Paper 2
# Géorgien A : littérature – Niveau supérieur – Épreuve 2
# Georgiano A: literatura – Nivel superior – Prueba 2

Thursday 5 May 2016 (afternoon)
Jeudi 5 mai 2016 (après-midi)
Jueves 5 de mayo de 2016 (tarde)

2 hours / 2 heures / 2 horas

---

**Instructions to candidates**

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Answer one essay question only. You must base your answer on at least two of the part 3 works you have studied and compare and contrast these works in response to the question. Answers which are not based on a discussion of at least two part 3 works will not score high marks.
- You are not permitted to bring copies of the works you have studied into the examination room.
- The maximum mark for this examination paper is **[25 marks]**.

**Instructions destinées aux candidats**

- N’ouvrez pas cette épreuve avant d’y être autorisé(e).
- Traitez un seul sujet de composition. En basant votre réponse sur au moins deux des œuvres de la troisième partie que vous avez étudiées, vous devez comparer et opposer ces œuvres dans le cadre du sujet. Les réponses qui ne sont pas basées sur au moins deux des œuvres de la troisième partie n’obtiendront pas une note élevée.
- Vous n’êtes pas autorisé(e) à apporter des exemplaires des œuvres que vous avez étudiées dans la salle d’examen.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d’examen est de **[25 points]**.

**Instrucciones para los alumnos**

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Conteste una sola pregunta de redacción. Base su respuesta en al menos dos de las obras estudiadas de la parte 3, comparándolas y contrastándolas en relación con la pregunta. Las respuestas que no se basen en al menos dos obras de la parte 3 no recibirán una puntuación alta.
- No está permitido traer copias de las obras estudiadas a la sala de examen.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es **[25 puntos]**.



2216 – 0542
© International Baccalaureate Organization 2016

International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

მოცემული დავალებებიდან შეასრულეთ მხოლოდ **ერთი**. პასუხი უნდა ემყარებოდეს თქვენ მიერ შესწავლილ **მინიმუმ ორ ნაწარმოებს**, რომლებიც სასწავლო გეგმის მე-3 ნაწილითაა გათვალისწინებული. ეს ნაწარმოებები უნდა **შეადაროთ და აღნიშნოთ**, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. პასუხი, რომელშიც გამოყენებული არ იქნება მე-3 ნაწილში შესწავლილი მინიმუმ ორი ნაწარმოები, მაღალ ქულებს **ვერ** დაიმსახურებს.

**დრამა**

**1.** გააანალიზეთ ის ხერხები, რომელთა საშუალებითაც პიესაში დრამატურგები მკითხველის დაინტერესებას ახერხებენ. პასუხის გაცემისას გამოიყენეთ თქვენ მიერ შესწავლილი მინიმუმ ორი ნაწარმოები.

**2.** „დრამის დასასრული სიუჟეტის განვითარების კულმინაციაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია“. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეს მოსაზრება? პასუხის გაცემისას გამოიყენეთ თქვენ მიერ შესწავლილი მინიმუმ ორი ნაწარმოები.

**3.** შეაფასეთ, მთავარი თემის გამოსაკვეთად როგორ იყენებენ ავტორები დრამატულ ელემენტებს. პასუხის გაცემისას გამოიყენეთ თქვენ მიერ შესწავლილი მინიმუმ ორი ნაწარმოები.

**პოეზია**

**4.** თქვენ მიერ შესწავლილი ორი პოეტის ნაწარმოებების მიხედვით იმსჯელეთ, როგორ იყენებენ ისინი წარმოსახვას მკითხველზე ემოციური შთაბეჭდილების მოსახდენად.

**5.** გაიხსენეთ თქვენ მიერ შესწავლილი, სულ მცირე, ორი პოეტის ნაწარმოებები და იმსჯელეთ, როგორ იყენებენ ავტორები პოეტურ ენას განწყობის შესაქმნელად?

**6.** თქვენ მიერ შესწავლილი სულ მცირე ორი პოეტის ნაწარმოებები შეადარეთ ერთმანეთს და იმსჯელეთ, რა ხერხებით აჩვენებენ ისინი მკითხველს ზნეობრივ და მორალურ მაგალითებს.

**მხატვრული პროზა**

**7.** გამოიყენეთ თქვენ მიერ შესწავლილი მინიმუმ ორი პროზაული ნამუშევარი და იმსჯელეთ, რომელი მხატვრული საშუალებებით ახერხებენ ავტორები, რომ საკუთარი ნაწარმოებები რეალისტურად და საინტერესოდ წარმოადგინონ.

**8.** შეადარეთ თქვენ მიერ შესაწავლილი სულ მცირე ორი ნაწარმოები ერთმანეთს და იმსჯელეთ, პერსონაჟების ხასიათის გამოსაკვეთად როგორ იყენებენ ავტორები შინაგან და გარეგან კონფლიქტს.

**9.** შეადარეთ თქვენ მიერ შესაწავლილისულ მცირე ორი ნაწარმოები ერთმანეთს და იმსჯელეთ, როგორ იყენებენ ავტორები გარემოს საზოგადოების ხასიათის წარმოჩენის მიზნით.

**არამხატვრული პროზა**

**10.** გარკვეული ეფექტის მისაღწევად არამხატვრული პროზის ავტორები იყენებენ ოფიციალურ და არაოფიციალურ სტილს. შეადარეთ თქვენ მიერ შესაწავლილი სულ მცირე ორი ნაწარმოები ერთმანეთს და იმსჯელეთ, რომელ სტილს როგორ იყენებენ ეფექტის მისაღწევად.

**11.** „არამხატვრული პროზის ნამუშევრები არის ყველაზე ეფექტური, როდესაც მათში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცულია.“ იმსჯელეთ, რამდენად მართებულია ეს მოსაზრება თქვენ მიერ შესწავლილი სულ მცირე ორი ნაწარმოების მიხედვით.

**12.** შეადარეთ რამდენად მკაფიოდ წარმოაჩენს საკუთარ მოსაზრებას ავტორი თქვენ მიერ შესწავლილი სულ მცირე ორი ნაწარმოების მიხედვით.